სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
ფონდის ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოების
სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერი
სატენდერო კომისიის სხდომის
ო ქ მ ი N1

ქ. თბილისი

2019.12.27 16:22:29 +04'00'

სხდომას ესწრებოდა

ლევან შარვაძე - ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე CFO, კომისიის თავმჯდომარე;

ირაკლი ფარესიშვილი - ფონდის შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გიორგი შენგელია - ფონდის აღმასრულებელი დირექტორი, კომისიის წევრი;

ზურაბ კოტორაშვილი - ფონდის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

ნესტორ ფაცაცია - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, ფონდის შესყიდვების დეპარტამენტის სპეციალისტი.

დღის წესრიგი:
ფონდის ადმინისტრაციული შენობის საევაკუაციო კიბის უჯრედების სარემონტო სამუშაოებისა და 0 სართულზე, ფონდის კუთვნილ ფართში, დადგენილი სტანდარტების შესაბამისად არქივისთვის ახალი ფართის მოწყობის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით ელექტრონული ტენდერის ჩატარების მეთოდის განსაზღვრა და სატენდერო პირობების დამტკიცება.

მოსმენილ: სატენდერო კომისიის აპარატის წევრის ინფორმაცია - ფონდის ადმინისტრაციული შენობის, საევაკუაციო კიბის უჯრედები ვერ აკმაყოფილებენ სახანძრო უსაფრთხოების კუთხით მინიმალურ მოთხოვნებსაც კი. შესაბამისად აუცილებელია სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება.
გარდა ამისა, რომ ფონდის საშტატო ნუსხის გაზრდის გამო გვესაჭიროება სამუშაო ფართის მომატება, ასევე წარმოქმნილია საჭიროება გაფართოვდეს ფონდის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართულზე განთავსებული არქივი. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ფონდის ადმინისტრაციული შენობის 0 სართულზე არსებულ ფონდის კუთვნილ ფართში, დადგენილი სტანდარტების შესაბამისად ახალი არქივის მოწყობა.
ფონდის შეფასებისა და დაგეგმვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ორივე ლოკაციაზე მოამზადეს განსახორციელებელი სამუშაოების დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა და სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 22955 ლარით დღგ-ს გარეშე.

სატენდერო კომისიის წევრებმა აღნიშნეს:
შესასრულებელი სამუშაოების სიმარტივისა და სავარაუდო ღირებულების გათვალისწინებით მიზანშეწონილია გამოცხადდეს ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე.
დაადგინეს:
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ელექტრონული ტენდერის პროცედურა ჩატარდეს ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე - NAT აბრევიატურით.

მოისმინეს: სატენდერო კომისიის აპარატის წევრის ინფორმაცია - ელექტრონული ტენდერის პირობების, კერძოდ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის შესახებ და სატენდერო კომისიას განსახილველად გადასცა სატენდერო პირობების პროექტი.

განიხილეს: ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი, სატენდერო კომისიის წევრებმა ერთხმად მისაღებად ჩათვალეს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებით და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული პირობები და ძირითადი და მნიშვნელოვანი სატენდერო პირობების დასაბუთების მიზნით აღნიშნეს:
1. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების გათვალისწინებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 15[1] მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ

განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, აგრეთვე სატენდერო წინადადების წარსადგენად განსაზღვრულია 10 დღე.
2. სატენდერო დოკუმენტაციის (დანართი N1 (ხარჯთაღრიცხვა) თანახმად, სამშენებლო სამუშაოების ტენდერის გამოცხადება უნდა მოხდეს ერთგვაროვანი შესყიდვის ობიექტის განმსაზღვრელი კლასიფიკატორის დანაყოფის CPV 45400000 და კლასიფიკატორის კატეგორიის კლასის და ჯგუფის თანახმად (45400000 - შენობის დასრულების სამუშაოები კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი 45410000 - მობათქაშება 45421111 - კარის ჩარჩოების მონტაჟი 45421112 - ფანჯრის ჩარჩოების მონტაჟი 45421131 - კარების ჩადგმა 45421132 - ფანჯრების ჩადგმა 45421141 - ტიხრების მონტაჟი 45421152 - ტიხარ-კედლების მონტაჟი 45431100 - იატაკის ფილების დაგება 45432210 - კედელზე საფარის დადება 45442110 - შენობების ღებვა 45442180 - სარემონტო სამუშაოები 45442190 - საღებავის აცლა/მოშორება).
3. შესყიდვის ობიექტის დაფინანსება განსაზღვრულია 2020 წლის საკუთარი შემოსავლების ფარგლებში.
4. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების გათვალისწინებით (წინადადების წარმოდგენა უნდა განხორციელდეს დამატებითი ღირებულების გადასახადის (დ.ღ.გ.) გათვალისწინების გარეშე, ხოლო წინადადების ფასის კლების ბიჯის ოდენობა მიზანშეწონილია განისაზღვროს 400 ლარით.
5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა შეადგენს არა უმეტეს 45 დღის ვადაში.
6. შესყიდვის ობიექტის მოცულობა, განსაზღვრულია სატენდერო დოკუმენტაციის დანართებით: მოცულობების უწყისი და ხარჯთაღრიცხვა.
7. მოთხოვნილია ინფორმაცია პრეტენდენტნთა გამოცდილების შესახებ.
8. ანგარიშსწორების პირობები მოცემული ხელშეკრულების პროექტში, რომელიც წარმოადგენს სატენდერო დოკუმენტაციის განუყოფელ ნაწილს.
9. სატენდერო დოკუმენტაციით მოითხოვება ფასწარმოქმნის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის ვალდებულება.

დაადგინეს:
1. ფონდის ოფისის მესამე სართულზე ვიტრაჟის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით დამტკიცდეს NAT აბრევიატურით ელექტრონული ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტი (ტექსტი თან ერთვის).
2. დამტკიცდეს სატენდერო დოკუმენტაცია თანდართული პროექტის მიხედვითა და მისი შემადგენელი შემდეგი დოკუმენტებით;
ა) სატენდერო პირობები;
ბ) სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N1 - ხარჯთაღრიცხვა;
დ) სატენდერო დოკუმენტაციის დანართი მოცულობების უწყისი;
ე) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი;
3. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღის განმავლობაში უზრუნველყოს ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტისა და სატენდერო დოკუმენტაციის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

კომისიის თავმჯდომარე **/ ლევან შარვაძე /**

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **/ ირაკლი ფარესიშვილი /**

კომისიის წევრი **/ გიორგი შენგელია /**

კომისიის წევრი **/ ზურაბ კოტორაშვილი /**

კომისიის აპარატის წევრი **/ ნესტორ ფაცაცია /**